სასულიერო პირი ადამიანებს მხოლოდ სიმართლეს უნდა ეუბნებოდეს, მეუფე ნიკოლოზი კი სიმართლის ნაცვლად ტყუილს, სიცრუეს, დემოგოგიას გვთავაზობს და ჰგონია, რომ ვერაფერს ვერაფერს მიუხვდება.

მეუფე ნიკოლოზის აზრით, მიხეილ სააკაშვილს უნდა ეპატიოს დანაშაული და ის პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა უნდა შეიწყალოს. ის ფიქრობს, რომ ყველა ხელისუფალი იგივეს აკეთებს, რასაც სააკაშვილი აკეთებდა და თუ ეს ასეა, მაშინ სააკაშვილი კი არა, ყველა უნდა გაეასამართლოთ, თუ გვინდა, ობიექტურობი და სამართლიანობა ვიყოთ.

— სადღაც უნდა შეგჩერდეთ, თორემ სხვაგვარად დაპირისპირებას ვერ აღმოვეფხვრით, ეროვნულ თანხმობას ვერასოდეს მიაღწევთ

ტო მე-20, არამედ 21-ე საუკუნეში მოღვაწე ხელისუფალთა შორისაც ჰყავს პროტოტიპები, რომლებიც სისასტიკით და სადინობით სააკაშვილს ტოლს არ უდებდნენ, მაგრამ მათთვის არავის არაფერი უპატივობა და ყველა მათგანმა ძალიან ტრაგიკულად დაასრულა პოლიტიკური კარიერა.

მეუფე ნიკოლოზი თვალში ნაცარს გვაყრის და საქმეს ისე წარმოაჩენს, თითქოს „ველური“ საქართველოს გარდა არცერთ ცივილიზებულ სახელმწიფოში პრეზიდენტებს და პრემიერებს არ ასამართლებენ.

შორს ნუ წავალთ, აგერ, ახლახანს არ იყო საფანჯრების პრეზიდენტის სარკოზის სასამართლო? თუ სააკაშვილი უნდა გავასამართლოთ, რატომ მართო სააკაშვილი? — სხვებიც გავასამართლოთ! — ბრძანებს მეუფე.

„სხვებში“ მეუფე თუ შევარდნაძეს გულისხმობს, კი, ბატონო, გავასამართლოთ შევარდნაძეც, რომელსაც სააკაშვილზე ნაკლები უბედურება არ დაუტრიალებია საქართველოში.

# რასაც ახლა ვხედავთ, მოაკვდავი „ნაცმოძრაობის“ უკანასკნელი ბორბვაა

## ნიკა მელია, თუ სურს, როგორც პოლიტიკოსმა თავი გადაირჩინოს, სააკაშვილს უნდა გაემიჯნოს

**გვესაუბრება**  
**სტრატეგიული დაგეგმარების**  
**ცენტრის ხელმძღვანელი,**  
**პოლიტიკური დენილი**  
**ლევან მაგალაძე**  
**USA, Texas**

— ბატონო ლევან, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან აქტიურად იყავით ჩართული საარჩევნო პროცესებში. მას შემდეგ დამოუკიდებელმა საქართველომ საარჩევნო ბატალიებს „საკუთარი“ ისტორია შექმნა. მოდით, შეაფასეთ, ახლანდელი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩვენი ქვეყნის გამოცდილებიდან გამომდინარე.

— დავიწყეთ იქედან, რომ გავლენები საარჩევნო პროცესებზე ახალი არ არის. ამაზე სახელმძღვანელოებიც არის დაწერილი და ლექციებიც ტარდება.

საქართველოს გადამრჩენელი, ხელისუფლებაში კი მხოლოდ კორუფციაა.

ეს გახლდათ ძირითადი ფაქტორი, რითაც მაშინ მიზანს მიადწიეს, თუმცა იყო კიდევ ერთი რამ: 2003 წელს დადგა პრეცედენტი, რომ ყალიბდებოდა კოალიციური მმართველობა. სახელისუფლებო გუნდმა ვერ აიღო იმდენი ხმა, რომ უმრავლესობა შეექმნა, თუმცა სააკაშვილს კოალიციურ ხელისუფლებაში მონაწილეობა არ არწივდა, მას ხელისუფლების დამხობა და მისაკუთრება სურდა, ამიტომაც დესტრუქციით, მოსყიდულ მედიასაშუალებებზე დაყრდნობით, საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენით და განსაკუთრებული საერთაშორისო მხარდაჭერით, ეს მოახერხა.

2012 წლისთვის, როგორც მანამდე, დასავლეთი აქტიურად იყო

დღეს ქართველ ამომრჩევლებს არჩევანი არ აქვს. ქვეყანაში არის უამრავი პრობლემა, თუნდაც პანდემიიდან გამომდინარე, მსოფლიოში შექმნილი ეკონომიკური რყევების მიხედვით შექმნილი სიტუაციის გამო, ის ამომრჩეველი, რომელიც „ქართულ ოცნებას“ უჭერდა მხარს, უკმაყოფილებას გამოხატავს და სურვილი უჩნდება, ვიღაც სხვას მიემხროს, ვთქვათ, ოპოზიციას, რომელსაც თითქოსდა პრობლემების მოგვარების უფრო ეფექტური ხედვა უნდა ჰქონდეს, მაგრამ ასეთი ოპოზიცია დღეს საქართველოში არ არსებობს.

„ქართულ ოცნებას“ ყოველთვის ჰქონდა გეგმები, „ნაცმოძრაობის“ გეგმა კი ერთია: ესენი გავაგლოთ, ჩვენ მოვიდეთ, ჩვენც გვემეველება, ამ ქვეყანასაც და განათდება ქვეყნიერება.

„ნაცმოძრაობა“ ხელისუფლე-



ლებენ სხვას. და რატომ ხდება ეს? — ისევე იმ მიზნით, რომ საზოგადოება გააბრიყვონ.

ხალხის გარკვეული ნაწილი ამას ვერ აცნობიერებს და მათ შორის, ისინიც, რომლებიც არასდროს იყვნენ სააკაშვილის მხარდამჭერები, გაუცნობიერებლად, ამ დემაგოგიურ რიტორიკას ემორჩილებიან.

დღეს საზოგადოებას სჭირდება სხვა პლატფორმა, რომელიც წარმოადგენს ახალ, ნამდვილად ოპოზიციურ ხედვებს, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში ასეთი ტიპის ოპოზიციური სპექტრი ჩამოყალიბებული არ არის. ამას ხელს, პირველ რიგში, უშლიდა და უშლის მიხეილ სააკაშვილი; რადგან კლასიკური ოპოზიცია რომ ჩამოყალიბდეს, ექსტრემისტული და აგრესიული ოპოზიციური ძალების, ანუ მისნაირების ადგილი აქ აღარ იარსებებს.

— სააკაშვილი უკვე 9 წელიწადია, საქართველოში არ არის და თქვენ ფიქრობთ, რომ ის მაინც ახერხებდა, რომ ოპოზიციამ, თავისი ნამდვილი სახით, საქართველოში არ შექმნილიყო?

— ეს არის ფაქტი. სააკაშვილიმა საქართველო ოდესის გუბერნატორობაში გაცვალა და მიუხედავად ამისა, საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას ერთი წუთითაც არ მოწყვეტია.

ის გახლავთ ცნობილი ავანტურისტი, რომელსაც არც სამშობლოს განცდა აქვს და არც სამშობლო აქვს, საერთოდ. სამშობლოს სახელით სპეკულირება მისთვის არის პირობითი ფაქტორი ხელისუფლებაში მოსასვლელად.

უკრაინიდან ყველაფერს აკეთებდა, რომ დაებრუნებინა ძალაუფლება, რევანში განეხორციელებინა, როგორც „ქართულ ოცნებაზე“, ასევე ქართველ ხალხზე. გაიხსენეთ, რამდენჯერ ჰქონდა დესტაბილიზაციის მცდელობა — ჩანაწერები მოვისმინეთ, სადაც ამბობდა: უნდა შეეწიროს ჟურნალისტი, ბარიკადები აღმართოთ, დავასრულოთ „ოცნება“.

გაიხსენეთ, სპეცსამსახურებმა მის მიერ შემოგზავნილი რამდენი დივერსანტი დააკავეს, რამდენჯერ მოეწყო მისი დავალებით ეთნიკური დაპირისპირებები, რომლებშიც „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები ფიგურირებდნენ. სააკაშვილი ყველა მექანიზმს იყენებდა, რადგან, კიდევ ვიძიოთ: მისთვის სახელმწიფო და ქვეყანა არ არის მთავარი, არამედ მთავარია — დაშალოს, აირიოს საქართველოში ყველაფერი.

არც ერთი მცდელობა არ გამოუვიდა. ამჯერად, ეს იყო მისი ბოლო გაბრძოლება.

საკაშვილი მშვენივრად მიხვდა, რომ მისი გავლენები სუსტდებოდა და თუ ახლა რადი-



საქართველოსთვის 2003 წელს საარჩევნო ტექნოლოგიების გამოცდილება ახალი ტრენდი იყო, შესაბამისად, საზოგადოებამ არ იცოდა, შესაძლებელი რომ იყო ამომრჩევლებზე ზეგავლენის მოხდენა და მისი მართვა.

2003 წელს სააკაშვილი და სხვები, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობას იღებდნენ, როგორც ოპოზიციონერები, სინამდვილეში, იყვნენ ხელისუფლების წარმომადგენლები — სააკაშვილი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე იყო მაშინ, მინისტრები ე.წ. ოპოზიციას ემხრობოდნენ, ზურაბ ჟვანიას გუნდში ბეკერს ეპყრა მინისტრის პოსტი და ა. შ.

გაიხსენეთ, იმ პერიოდში სააკაშვილი და მისმა ჯგუფმა მთელი თავისუფალი მედია თავისი ზეგავლენის ქვეშ მოაქცია, მაგრამ ოფიციალური ხელისუფლება ამას ყურადღებას თითქმის არც კი აქცევდა. საბოლოოდ კი ხალხს მიეწოდებოდა ინფორმაცია რომ სააკაშვილი არის

ჩართული აქ მიმდინარე პროცესებში და როგორც კი დარწმუნდნენ, რომ უარყოფითი მუხტი სააკაშვილის რეჟიმის მიმართ ძლიერდებოდა, ზოლო განეიტრალება შეუძლებელი ხდებოდა, დასვეს ასეთი განლაგება — 40% ივანიშვილის ჯგუფს „ქართულ ოცნებას“, 60% — სააკაშვილის ხელისუფლებას. ამაზე, თითქოსდა, შეთანხმებული იყვნენ, მაგრამ შემდეგ იმდენი რამ გახდა აშკარა, რასაც დაემატა ციხის კადრები და წამების ფაქტები, რომ დასავლეთი მიხვდა, ვეღარ შეძლებდა ამ ფორმატის შენარჩუნებას. ყველა ხედავდა, პროტესტს ვეღარავინ შეაჩერებდა.

მგონი, გემანსოვრებათ: არჩევნები, როცა უბნები ჯერ კიდევ არ იყო დახურული, გამოვარდა სააკაშვილი: წავაგეთ, ოპოზიციამ გაადაღის „ნაცმოძრაობა“, გამოაცხადა.

ხალხის განწყობამ გადაფარა პიარტექნოლოგიების მიერ დაწერილი სცენარი.

ბაში იყო 9 წლის განმავლობაში და ამ ხნის მანძილზე ჩადენილ ძალადობებს, მკვლევლობებს, მარცვას, ტერიტორიების დაკარგვას არათუ აღიარებენ, არამედ აბრა-







კალურად არ იმოქმედებდა, ეს გავლენები თანდათან გაქრებოდა, როგორც პარტიაში, ასევე ქვეყნის მასშტაბით.

შემოპარვის მცდელობა ადრეც ჰქონდა. განსოვთ, თურქეთიდან შემოსვლას რომ გეგმავდა, მაგრამ ვერ მოახერხა იქ ემიგრანტების მობილიზება. მისი დაცვის წევრებმაც დააკავეს ქართველმა მესაზღვრეებმა იახტით შემოპარვას რომ ცდილობდნენ.

ამჯერად ვითომ თვითმფრინავით უნდა ჩამოსულიყო და ბოლოს როგორც შემობარბაცდა, დაეინახეთ.

მაქვს ინფორმაცია, რომ სააკაშვილს ჰქონდა კონსულტაციები აშშ-ის გარკვეულ წრეებთან, შედარებით დაბალი რანგის პირებთან, ასევე უკრაინაში მყოფ რუსეთის რეზიდენტებთან, რომლებიც დაჰპირდნენ, როცა საქართველოში ჩამოვიდოდა, აქაურების მხარდაჭერით, მოეწყობოდა გრანდიოზული შეკრება არჩევნების მეორე-მესამე დღეს, იქ გამოჩნდებოდა სააკაშვილი და მის დაკავებას მომხრეები ცოცხალი თავით არ დაუშვებდნენ.

— ანუ „ქართული ოცნება“, მათი გათვლებით, ისედაც ვერ იმარჯვებდა?

— მივალ მაქამდეც, მაგრამ თითქოსდა მრავალათასიანი შეკრება რომ უნდა გამართულიყო, ეს ვერ მოითმინა და წამოსცდა სააკაშვილს ჩანაწერში, რომელიც ბათუმიდან გამოაქვეყნა — 100 000-ობით რომ შევიკრიბებით, წინ ვერავინ დაგვიდგება, ჩვენ გავიმარჯვებთ, ვერავინ მომეკარება, ხალხი დამიცავს და საქართველო გადარჩება.

ცხადია, ასეთი ავანტიურის რესურსი მიშისტებს არ გააჩნიათ და სააკაშვილი გაბრევივებული დარჩა — თავი ამოყო ციხეში.

— ბ ა ტ ო ნ ო ლ ე ვ ა ნ ,

**100 000-იანი აქცია ახსენეთ და როგორ ფიქრობთ, ამდენი ადამიანი გამოვიდოდა ქუჩაში „ნაცმოძრაობის“ და სააკაშვილის დაძახილზე?**

— კიდევ ერთხელ ვიტყვი: სააკაშვილს სჯერა, რომ არის ახალი ჯორჯ ვაშინგტონი და მას ხალხი გვერდით დაუდგება, თორემ ციხეში ჩასაჯდომად არ ჩამოსულა. ის ჩამოვიდა იმისთვის, რომ რევოლუცია მოეხდინა. ეს არ გამოუვიდა. ტექნიკურად ამის გაკეთება ახლა შეუძლებელია, იდეოლოგიურად და შინაარსობრივად ამის ნიადაგი საქართველოში, ამჟამად, არ არსებობს, ქვეყანაში რევოლუციური ფონი არ არის!



მიშისტებმა წააგეს, მაგრამ გაჩერებას არ აპირებენ. ეს აგონიური გაბრძოლებაა. ჩვენ მოგვიწევს პირდაპირ ვუყუროთ „ნაცმოძრაობის“, როგორც მომაკვდავის, უკანასკნელ ბორცვას.

ახლა აქციები დაიწყეს. თქვათ, მოაგროვეს ათასობით და ათიათასობით ადამიანი და რა, მერე, რა უნდა ქნან?!

განაჩენი გამოტანილია. იმის მიუხედავად, რომ ჰქონდა ამის დისკრეტული უფლებამოსილება, შეიწყალა გირგვლიანის მკვლელები, ის ამართლდნენ მათ ქმედებებს. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამას ემატება სააკაშვილის მიერ ათეულობით მილიონი საბიუჯეტო თანხების პირადი განცხრომისთვის დახარჯვა.

და რაც მთავარია, სააკაშვილმა პასუხი უნდა აგოს სახელმწიფოს წინაშე ჩადენილ დანაშაულ-

როგორც კი ციხეში აღმოჩნდა სააკაშვილი, მაშინვე მივხვდი, რომ ეს იყო მისი საბოლოო დაცემა, რადგან მეორე დღესვე მოითხოვა, უკრაინის კონსულთან შეხვედრა.

საკაშვილს სამართლებრივი კუთხით, დარჩა მხოლოდ ეს ბერკეტი, რათა თავი გაითავისუფლოს, თუმცა, საქართველოს აქვს ყველანაირი სამართლებრივი საფუძველი, დატოვოს საპატიმროში და არ გადასცეს უკრაინას. მას დანაშაული ჩადენილი აქვს საქართველოში, უკრაინის მოქალაქეობის მიღებამდე.



რადგან უკრაინაში თუ წაიყვანეს, სააკაშვილი იქ თავისუფალი იქნება. მაგრამ პრემიერ-მინისტრს საკმაოდ სერიოზული პოზიცია აქვს დაფიქსირებული, ხოლო პრეზიდენტმა საერთოდ წერტილი დაუსვა მისი შეწყალების პერსპექტივას, ამიტომაც უახლოეს პერიოდში იმის მოლოდინი, რომ სააკაშვილი ციხიდან გამოვა, არ არსებობს.

— ის „საფრთხე“ არ არის ქართულ ციხეში?

— სანამ მაგაზე გიპასუხებდეთ, მინდა გავიხსენო წერილი, რომელიც მისწერა სამეგრელოს მოსახლეობას — სააკაშვილი მაგ ტექსტის შემდგენელი არაა. „ჩელა“ რა არის და ციხე-გოჯი, მაგან არ იცის, ვიღაცამ დაუწერა გულისამაჩუყებელი წერილი, მაგრამ მე მაკვირვებს მოწოდება: სამეგრელოდან უნდა დაიწყო ჩემი გათავისუფლება. რაც სააკაშვილმა გაუკეთა სამეგრელოსადრე და ამ ბოლო დროსაც, ეს არის ამ კუთხის დიდი შეურაცხყოფა. საქართველოს უძველესი რეგიონის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება არის სამარცხვინო და მდაბიო მოქმედება. მჯერას, რომ ამაყი და საქართველოს ერთგული საყრდენი სამეგრელო და მეგრელები, გვარად სააკაშვილს თავს არ გამოაყენებინებენ!

თან დაკავშირებით, რამაც გამოიწვია ტერიტორიული მთლიანობის რღვევა, ტერიტორიების უცხო ქვეყნისთვის გადაცემა და სამხედრო შეიარაღებისა და ტექნიკის მოწინააღმდეგისთვის ჩუქება, საქართველოს სტრატეგიული ობიექტების რუსეთისთვის გადაცემა. ეს საკითხები, როგორც ვიცი, ჯერ არაა პროკურატურის მიერ ბოლომდე მიყვანილი.

ეს ბრალდება უკიდურეს პატიმრობას ითვალისწინებს და არა იმ სიმბოლურ 6 წელიწადს.

დიდი მცდელობები აქვთ, მათ შორის ქალბატონ იასკოსაც,

— ამ ე.წ. ოპოზიციას რა დააწინარებს?

— ეს არის მათი მოქმედების ფორმატი. რომ შეცვალონ მოქმედების ტაქტიკა, გამოდის, რომ „ნაცმოძრაობა“ გაუქმდა. ისინი თუ „გაჩერდებიან“, მათ ადგილს სხვა დაიკავენ. ნიკა მელიას ერთადერთი შანსი დარჩა, გაემიჯნოს სააკაშვილს და იმ მოძალადეებს.

ყველა სხვა სცენარით „ნაცმოძრაობის“ დასასრული დაწყებულია.

ამას აღვნიშნავ მე, ადამიანი, რომელიც არის ქართული



სახელმწიფოს მხარდამჭერი და აღვნიშნავ: რაც დამოუკიდებელი საქართველო ჩამოყალიბდა, მსგავსი ხელსაყრელი ვითარება საქართველოს არ ჰქონია. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ მას არ აინტერესებს, რას იტყვიან ელჩები, კონგრესმენები, ან ევრო-პარლამენტარები.

პრემიერი ამბობს: მე მანტერესებს ჩვენი ქვეყნის და ხალხის ინტერესები და ასეთ კონტექსტში უნდა იმოქმედოს ქვეყანამ.

საკაშვილი და მისი მომხრეები, ცდილობენ ჩვენს საშინაო საქმეში ისევ უცხოელები გაააქტიურონ, მაგრამ რაიმე არალეგიტიმურ და მკვერთ ნაბიჯს დასავლეთი ახლა არ გადადგამს, საქართველოსთან ურთიერთობებს სარისკოდ არ გაზღვის სააკაშვილის ხუმტურების გამო.

საქართველოში დგება სრულიად ახალი ეტაპი. ჩვენი ქვეყანა ახალ ეტაპზე გადადის და მიშინში, როგორც სახელმწიფო ინტერესების ხელისშემშლელი ფაქტორი, უნდა დასრულდეს. ეს არის ახლა ჩვენი აუცილებელი და ყველაზე მნიშვნელოვანი და არა თვითმართველობის არჩევნების საბაბით ქვეყნის დასუსტება.

ირანდა პალანდამი 593 56 11 18



აბა, ჩამთავრდა ადგილობრივი არჩევნების მეორე ტურიც - 20 ოქტომბერიდან 19 მოიგო „ქართულმა ოცნებამ“, ერთი მუნიციპალიტეტი, წალენჯიხა დარჩა „ნაციონალურ მოძრაობას“.

- თბილისი კახა კალაძე – 55,603%;
- ფოთი ბექა ვაჭარაძე – 57,35%;
- რუსთავი ნინო ლაცაბიძე – 53,717%;
- ქუთაისი იოსებ ხახალაშვილი – 51,643%;
- ბათუმი არჩილ ჩიქოვანი – 51,018%;
- თელავი ლევან ანდრიაშვილი – 56,899%;
- ხაშური თენგიზ ჩიტაიშვილი – 59,082%;
- ცაგერი გიორგი ნემსაძე – 62,873%;
- ბაღდათი კახა ენუქიძე – 60,693%;

ოდირის წარმომადგენლებმა, იყო მცირეოდენი დარღვევები, გაწვევა-გამოწვევები, მაგრამ აბა საერთო შედეგზე გაკლენ არ მოუხდენიაო. პრინციპში, გაწვევა-გამოწვევები რა, თბილისში ერთ უბანზე 1 წუთით დენი გაითიშა, ზუსტად 1 წუთში ნიკანორ მელია იქ „დევრტო“ და დაიწყო პრანჭვა-გრეხვა, არჩევნებს მიყალბებენო. ასეთმა ტონმა ვიღაცა ძალზედ გააღიზიანა და ნიკანორს თავში წამოარტყა. წამორტყმა საკმაოდ ძლიერი იყო... პრინციპში, ეს იყო არა წამორტყმა, არამედ ტყაპანი. არა, ზუსტად 1 წუთში დენის გათიშვის ადგილზე რომ „დევრტო“, რა იცოდა, იქ რომ დენი უნდა გათიშულიყო? გამოძიებამ ე.წ. წამომრტყმელი ამ ეტაპზე ვერ აღმოაჩინა, რომც აღმოაჩინოს, ის არაფრისიღებოთ არ

დასავლური ტიპის ჟურნალისტებს მოსდით ხოლმე ეგეთი შეცდომები. ეს კიდევ არაფერი, ლოთური გარეგნობის ემა გოგონამ ერთ-ერთ რიგით მოქალაქეს თითი მოსტყენა. აეგრე, გამოევიდა, თითი დაუჭირა, მისწია, მოსწია, აღარ გაუშვა და მოსტყდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ამან არ იკისრა, როცა ეკითხებოდნენ, ეგ რეიზა ჩეიდინეო, შეკითხვებს ბანზე აგდებდა, თქვენ შიგ ხომ არ გაქვითო?! არჩევნების დღემ, როგორც ვითხარით, ფაქტობრივად უმსხვერპლოდ ჩაიარა, სააკაშვილმა მხოლოდ ერთი მცირე წერილი გამოაგზავნა რუსთავიდან, გამაგრდით, ხმები დაიცავით, არ დათმით, ჩემი სიცოცხლე თქვენს ხელშიაო. აი, სიტყვა „გამაგრდით“ ძალიან ცუდად



# რა ეშველება ახლა ამ „კუალიციას“?!



- წყალტუბო გენადი ბალანჩივაძე – 57,167%;
- ხელვაჩაური ზაზა დიასამიძე – 55,007%;
- წალენჯიხა გიორგი ხარჩილავა – 51,107%;
- თიანეთი ლევან წიკლაური – 54,826%;
- ქარელი ზაზა გულიაშვილი – 56,732%;
- ოზურგეთი ავთანდილ თალაკვაძე – 55,409%;
- სენაკი ვახტანგ გადელია – 53,078%;
- მარტვილი თორნიკე ჯანაშია – 51,845%;
- ხობი დავით ბუკია – 56,78%;
- ზუგდიდი მამუკა წოწერია – 51,631%;
- ჩხოროწყუ დათო გოგუა – 50,881%;

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურმაც თითქმის იგივე ტემპში და იგივენაირად ჩაიარა, როგორც პირველმა ტურმა და როგორაც არ უნდა გაგვიკვირდეთ, ისევე ჩაიარა, როგორც 2012 წლის შემდგომმა ყველა არჩევნებმა და შეიძლება არ დაიჯეროთ, სხვა მომავალი არჩევნები ჩაივლის უკეთესად, „ნაციონალებს“, „განაციონალებს“ და „შმაციონალების“ გარეშე. ისევე ისე ჩაიარა, თქვენ საერთაშორისო დამკვირვებლებმაც, ეუთო/

მოხვდა ჩემ ყურს, ირაკლი ბათიაშვილი გამახსენდა, ეზარ კვიციანს რომ უთხრა ტელეფონში, გამაგრდითო და ეგრევე 9 წელიწადი მიუსაჯეს, ეს ინტელექტუალური მხარდაჭერა იყო და არ შეიძლებოდაო. ახლა მაინტერესებს... მართალია, მიშას „გამაგრდით“ ვერ იქნება ინტელექტუალური, რადგან მას ინტელექტი არ გააჩნია, მაგრამ მაინც შეიცავს თუ არა დანაშაულის ნიშნებს? ააა, ეგ კანონი გაუქმდა? ჰო, მაშინ კაი, იმახოს, მაგრამ დადევითო, ვინ ჰყავს მაგრად დამდგომი?

ე.წ. ოპოზიციურმა „კუალიციამ“ არჩევნებში გამარჯვება იმავე დღეს, საღამოს 8 საათზე, ეგზიტპოლების გამოცხადებისთანავე იზიჰმა – ნიკა გვარამიას მიერ დაწერილი დაეთრის თანახმად, ყველა უბანსა და ოლქში მათ გაიმარჯვეს. იყო ტაში, შეხტომა, სიცილ-კისკისი და ტუნების გადახევა ყურებამდე. არ მიკვირია, არც თქვენ უნდა გაგვიკვირებოდით, ამით 2008-ში წაგებული ომი „მოიგეს“ და აბა, ტრადიციას ახლა დაარღვევენ? ტაში და მილოცვები იყო აქეთ, მეორე მხარესაც, ოღონდ რეალური. „გორბის“ გამოკითხვის თანახმად, შედეგები თითქმის იყო იგივე. რაც შემდგომ გამოაქვეყნა ცესკომ.

მეორე დღეს, 31 ოქტომბერს „ნაციები“ რუსთაველზე გამოცვივდნენ, 500-მდე ადამიანი იქნებოდა თავის ჟურნალისტებიდან, პოლიციიდან, გამკვლევ-გამომკვლევრიდან. სახეწაშლილმა ჰელენ ზოსტარიამ განაცხადა, რას ჰქვია, ვერ გავიმარჯვებთ? არ არსებობს, ჩვენ ყველა უბანი მოვიგეთ, ბიძინა ივანიშვილს 1 ხმაც არ მიუღიაო. პრინციპში, ეგრეა, ბიძინა ივანიშვილი მე სიამა არ მინახავს, იქ კახა კალაძე ეწერა. ნი-

კანორ მელიამაც დაადასტურა, რომ მათ ეს არჩევნები მოიგეს, წვეთი არ გაუვა, ოლიგარქს არ მისცემენ უფლებას, მათ რამე წაართვას.

ნიკანორ მელია: „ამ ქვეყანაში არჩევნები არის გაუქმებული. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ივანიშვილის პირობებში, ამ ქვეყანაში არჩევნები ჩატარდება, ამ ახრს ვერ გავიზიარებ, რადგან არ მჯერა. მე ბიძინა ივანიშვილს დავპირდი, ყველაფერი იქნებოდა იმავე დამოკიდებული, თუ როგორ მოქცეულა იგი 30 ოქტომბერს. მთელი ამ საათების განმავლობაში, პირადად მე, კომპიუტერული მქონდა ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთანაც. არ დავუშავე ის, რასაც ახლა თქვენ გესაუბრებთ. მათ ვუთხარი, რომ არჩევნები ამ ქვეყანაში გაუქმებულია, მანამდეც მქონდა ამ ყველაფერთან დაკავშირებით მათთან საუბარი. მერწმუნეთ, არ არსებობს ადამიანი, ქართველი, თუ უცხოელი, სტრატეგიული პარტნიორი თუ თანამებრძოლი, ვინც არ იზიარებდეს ამ მოსაზრებას.“

ხედავთ, რა „საინტერესოდ“ მსჯელობს ეს ყურუმსალი ნიკანორი? ჯერ იყო და... არჩევნები გააუქმა, მერე ბიძინა ივანიშვილს დანაპირები შეახსენა, შემდეგ კი (ამ საათების განმავლობაში) საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორს ელაპარაკა. ვინ არის ჩვენი მთავარი პარტნიორი? რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებული შტატები. ესე იგი, აწხორ მელიას ვაჟი ამბობს, აშშ-ს ველაპარაკე და ის იზიარებს ჩემს გადაწყვეტილებას... კაი, ძმაო, როგორც შენ იტყვი, ეგრე იყოსო. ეს რომ ადრეც ლენი იყო, კი ვხედავდით, მაგრამ ახლა მთლად გამოსირდა! გიორგი ბარამიძე: „ივანიშვილმა

არაფერი დაგვიტოვა, გარდა მშვიდობიანი რეველუციისა – სასწრაფოდ, ხვალ თუ არა ზეგ გრანდიოზული აქცია!“

დიახაც, ხვალ თუ არა ზეგ, სულისმემძვრელი აქციაო, თქვენ „ნაციონალიზმში“ და 7 ნოემბერს დანიშნულ გრანდიოზული ამბავი თავისუფლების მოედანზე. ახლა იმაზე ფართომასშტაბიანი იქნება, ვიდრე 14 ოქტომბერს იყო და უფრო დიდი, ვიდრე თქვენ ჩაატარეთო.

7 ნოემბერს კი დანიშნულ, მაგრამ საზოგადოებამ მათ შეახსენა, თქვენ ალბოდ ხომ არ ხართ, აღარ გახსოვთ, 2007 წლის 7 ნოემბერს რა ჩაიდინეთ? უი, შეგვეშალაო. ხედავთ, რა სასაცილონი არიან? 7-ში აქცია ვერ იქნება, 6-ში გადმოვიტანეთო.

გამიჩნდა სურვილი, მათ მივმართო: არ იქნება კი არა... ვერ იქნება! შეგეშალათ კი არა... შეგეშინდათ! თქვენნიარი ბრყვევის თავზე სახარების კითხვას არავინ აპირებს, წადით, გაეთრიეთ პოლიტიკიდან, მოკლენ ნორმალური ახალგაზრდები და მიხედავენ ქვეყანას!

ან სარკვეში ჩაიხედეთ, ან გუბუში, ნახეთ, რანაირი სახეები გაქვთ, რას დაემსგავსეთ. არც ადრე იყავით დახვეწილი გარეგნობისა, მაგრამ ახლა მთლად გაბომჟდით – გიფურებთ და მგონია, თავებსაც აღარ იბანთ! აქცია 7 ნოემბერს არ იქნება, შეგვეშალაო... რათა, რათ შეგეშალათ, მიხედით, ბებიათქვენისა რომ გაქვთ ნაჭვამი?! გეგონათ, ის დღე აღარავის ახსოვდა, ხომ? გვახსოვს, ყველაფერი გვახსოვს, თქვე თახსირებო! ჰმ... შეგვეშალაო. კი არ შეგეშალათ, შეგეშინდათ, ემანდ ლინჩის წესით არავინ გაგვისწორდესო. არც ისეთი გმირები ხართ, თქვენს გამოშტერებულ მომხრეებს რომ აბოლებთ. ერთი თქვენა ხართ გმირები და მეორე კიდევ რუსთავში გიზით თავილიანი კოვხით.



გელა ჯედელაშვილი  
555 48 48 61

# ვინ არის ლიზა იასკო - ვიზას მეორე ცოლი, თუ მოგვიჩვენებთ ახლებს ჩანაცვლებული ახალი ახლები?

რატომ ჩამოვიდა სააკაშვილი, რა მიზნით, რა გეგმით უცნობია. მართალია თავის მრევლს აბოლებს, რომ სამშობლოს და ხალხის სიყვარულის გამო დაბრუნდა „გველემშაბთან“ საბრძოლველად, მაგრამ მოსკოვს ცრემლების არ ჯერა. მითი, „მიშა მაგარია“ უკრაინაშიც, ოდესში მისი გუბერნატორობის პერიოდშივე დაიმსხვრა. საქართველოში ნაცადი „ტრიუკები“ იქ არ გამოადგა. აი როგორ აფასებდა უკრაინელი პოლიტიკოსი მუსტაფა ნაემი მის უკრაინაში „მოღვაწეობას“, „ჩემი აზრით, ის ერთ-ერთი უკრაინელი პოლიტიკოსია, რომელიც თავის პარტიას უდგას სათვებში... ხოლო აღიქვამს თუ არა მას ხალხი უკრაინელ პოლიტიკოსად, ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად ბევრ უკრაინელ პოლიტიკოსს შემოიკრებს ის გარშემო. ვინაიდან საკმაოდ დიდი დრო გავიდა, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ მიმართულებით მიხედვით პრობლემები აქვს. საქართველოსა და უკრაინას შორის დიდი განსხვავებაა. უკრაინაში ბევრი რეგიონული ლიდერია, უამრავი პოლიტიკური პარტია, ჯგუფი და მოძრაობაა. როდესაც მიხეილი საქართველოში თავის მოღვაწეობას იწყებდა, მას ალტერნატივა არ ჰყავდა. აქ კი ჯანსაღი კონკურენტული გარემოა. აქ მას უფრო გაუჭირდება“, მართალია უკრაინაში დასაკარგი არაფერი არ ჰქონდა, მაგრამ რეიტინგიც გაეცრია და იმედის, რომ უკრაინის პოლიტიკურ დაფარვას ისე „ილივლივებდა“, როგორც საქართველოში მისი პარტიის დიქტატურის პერიოდში... მიხეილი, რომ დამოუკიდებლად ვერ მიიღებდა ამ სახიფათო გადაწყვეტილებას ფაქტია. დასავლეთის ქარმა შეუწყო ხელი, ჩრდილოეთის თუ ორივემ ერთად დაუბერა იმედია, მოგვიანებით გახდება ცნობილი. მიხეილმა საქართველოში ტრაილერით მგზავრობამდე მხარდამჭერებს და საზოგადოებას ამცნო, რომ მას ახალი სიყვარული ყავდა. სააკაშვილის სასიყვარულო აღიარებამ ბევრი გააკვირვა. არადა, „დღიარებამდე“, ყოფილი პრეზიდენტი სანდრა რულოვსთან და უმცროს შვილთან ერთად საბერძნეთში ისვენებდა. სანდრას მიერ 19 სექტემ-



ბერს სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ ფოტოებზე ბედნიერი ოჯახი ჩანს. ერთ კვირაში რა უნდა მომხდარიყო ისეთი, რომ მაღალ ფერი ეცვალა და არც ჯვარდაწერილი და არც ხელმოწერილი ლიზა „გაეფიცა“ და „გაიფიცა“? სანდრას განცხადებით მიხეილის ახალი სიყვარული მისთვის მოულოდნელი და მიუღებელიც ყოფილა... პრეზიდენტის ფილს ნაშები არც მანამდე აკლდა და მკაცრად განსაზღვრული მცოცავი გრაფიკით იკმაყოფილებდა თავის ფინს, მაგრამ ლიზა იასკო საეჭვოდ გამოჩნდა მის ცხოვრებაში თან, „მეორე კრუგზე“. გასულ წელს, მათ რომანს აქტიურად იხილავდა რუსული და უკრაინული მედია. უკრაინულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციით ლიზას და მიხეილის „შუიანი“ „შარშან, სულ ექვსი თვე გასტანა. ქალაქგარეთ, ლესნიკში მაღალის რეზიდენციაში, რომელსაც უცხო თვალისგან ოთხმეტრამდე კაბიტალური დობე იცავდა, ხშირი სტუმარი გახლდათ ლიზა, რამოდენიმე თვე დიასახლისობაც მოირგო, საერთო მეგობრებსაც მასპინძლობდა და სწორედ მაშინ ეწვიათ კორნა. მიმდინარე წლის იანვარში დაშორდნენ. მიხეილს რატომღაც მალავდნენ. განშორების ტკივილი ლიზას ძალიან მძიმედ გადაუტანია. გულის გადასაყოლებლად ჯერ ფილმში გადაუწყვეტია ეთამაშა, სადაც ახალგაზრდა პოლიტიკოსის როლი უნდა მოერგო. რომელიც, შემთხვევით მოხვდა პოლიტიკაში და გაუგებრობაშიც. შემდეგ პოლიტიკური პარტიის შექმნით „შეპყრობილა“,

რომელიც სოროსს უნდა დაეფინანსებინა. ლიზას, პირადი და პოლიტიკური ცხოვრებაც აერია. მას სოციალურ ქსელში ურჩევდნენ, ცოლშვილიან კაცთან წაწაღს ქვეყნისთვის და ხალხისთვის მიეხედა და თავის მოვალეობა შეესრულებინა. რიგ საკითხებთან დაკავშირებით უთანხმოება ჰქონდა კოლეგებთანაც... მოკლედ, ოჯახთან ერთად დასვენებული მიხეილი, ბრუნდება უკრაინაში, მანამდე შესაძლოა „სადაც“ შეიარა და ლიზასთან მოულოდნელად, ცხრა თვიანი განშორების შემდეგ, ურთიერთობას აგრძელებს (რაც ისევე გახდა მედიის მსჯელობის საგანი) და თან გადაწყვეტილებას დებულობს საქართველოში საარჩევნოდ დაბრუნდეს. სანდრას თუ ლიზას გვარზე იღებს პასპორტს (სად გამოიყენა უცნობია). გარკვეული მოლაპარაკების, გადაწყვეტილების მიღების, შეთანხმების, გარანტიების გარეშე „მამაცი მალაღი“, ამ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა. „კეთილისმსურველებმა“ თუ დაარწმუნეს, რომ მისი გამოჩენით „ხედა“ ხალხს გამოიყვანდნენ და ხელისუფლების სადავეებს ისევ ხელში ჩაიგდებდა, რჩევას, აუცილებლად კითხავდა საყვარელ ბიძას რომლისთვისაც ცნობილია, რომ მიშას მატარებელიც და რეიტინგიც დეპოზია. საეჭვოა, რომ მისი ტრაილერით მოგზაურობის განზრახვა, სხვა განზრახვებთან ერთად ბიძამის დადებითად შეეფასებინა. იმ პირთა ჯგუფმა, რომლებმაც „განუბაჟებლად“ მიშას იმპორტი დაგვემეს არც მიშას კეთილისმსურველები უნდა იყვნენ და არც ჩვე-



ნი ქვეყნის. ლიზა, ამკარად ტყუის, რომ არაფერი იცოდა. ისინი, გეგმის მიხედვით მოქმედებდნენ. ჩაწერეს მიმართვა, სადაც საზოგადოებას გაუმხილეს „ერთად ყოფნის“ ამბავი. შესაძლებელია, სანდრასთანაც იხილავდა ახალი გეგმის ნიუანსებს და რადგან იგი ბუნებით რეჟისორია და არა მსახიობი როლი-ლიზას სასარგებლოდ დათმო. ავი ენები, იმასაც ამბობენ, სანდრა რიგი მიხეილის გამო, გვერდზე გაწივს და მიშას აღმა თუ დაღმა სვლის საჭე ლიზას გადააბარეს. სანდრას „სკოლა“ და გზა ბოლომდე, ლიზას ჯერ არ გაუვლია, მაგრამ ვინ იცის, ჩვენი ქვეყნის დასაქცევად მომავალში, იქნებ აუჯობოს კიდევ სანდრას. ვინ არის ლიზა იასკო? ის, ოცდათერთმეტი წლის პოლიტიკოსია. უკრაინის მმართველი პარტიის, „ხალხის მსახური“ წევრი. ტარას შევჩენკოს სახელობის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული. ოქსფორდის სკოლის საჯარო პოლიტიკის მაგისტრი. 2013-14 წლებში გაცვლითი პროგრამით მოსკოვის ლომონოსოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოუსწრია სწავლა. მუშაობდა უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და კულტურის სამინისტროში. დამთავრებული აქვს მუსიკალური სკოლა, უკრაინის ფორტეპიანოზე და მღერის. 2014 წლის იანვარში, მაიდანის დროს კიევი, გრუშევსკის მოედანზე მოწოდებდა ბარიკადებზე ლურჯ ფორტეპიანოზე დაუკრად და „ამბოხებულებს“ უმღერა. „რადის“ დეპუტატი იგი 2019 წლის აგვისტოში გახდა. 2019 წლის სექტემბრიდან, 2021 წლის იანვრამდე, თავმჯდომარეობდა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში „ვერხონა რადის“ მუდმივ დელეგაციას (აღნიშნული „პოსტი“ მიშასთან ერთად დაკარგა). 2020 წლის ოქტომბერში, როცა მიშასთან გაჩაღებული რომანი ქონდა, სხვა უკრაინელ დეპუტატებთან ერთად, აპირებდა საქართველოში ჩამოსვლას საპარლამენტო არჩევნებზე დასაკვირვებლად. საქართველომ ბოლო მომენტში უთხრა უარი ქვეყანაში შესვლაზე ოცდაათკაციან დეპუტატთა ჯგუფს. ერთ-ერთ ინტერვიუში იასკომ მიხეილ სააკაშვილს მაშინ „მსოფლიო პოლიტიკის თანამედროვე ლეგენდა“ უწოდა. მიხეილის „დატუსალების“ შემდეგ კი

განაცხადა „მე მისით ძალიან ვამაყობ, ადამიანით, რომელსაც ასე უყვარს თავისი ქვეყანა. ასევე მინდა გითხრათ, რომ ეს დიდი ბრძოლაა, რომლის მოგებაც თქვენ გჭირდებათ თქვენი მომავლისთვის. ვისურვებდი, რომ მიხეილ სააკაშვილი მალე გაათავისუფლდეს. ის, ახლა პოლიტპატიმარია და არ შეიძლება, ამასთან შეგუება. ძალიან ცუდია, რაც შეეძლება თქვენს პრეზიდენტს და ამას სჭირდება ბრძოლა. ეს უნდა გადაწყვიტოს, ქართველმა ხალხმა“. უკრაინულ მედიაში ლიზა დაუფარავად აცხადებს, რომ მიშა პოლიტპატიმარია და ჩვენი მართლმსაჯულება უსუსური და სუბიექტური. ლიზა კომ, ალბათ არ იცის როგორი მართლმსაჯულება იყო ნაცების ზეობის ხანაში და რამდენი ოჯახი გამწარდა მისი „ლეგენდის“ ორგანიზატორობით. რამდენი ოჯახი დაიქცა. რამდენი ტერიტორია დაიკარგა და რამდენი სტრატეგიული ობიექტი გაიყვინდა. კიდევ ბევრი უბედურება არ იცის, რაც მისმა რჩეულმა ჩვენს ქვეყანას და ხალხს დამართა. თუმცა, ალბათ არც აინტერესებს. უკრაინაში ხალხისთვის ორმა წარუმატებელმა მაიდანმა ქუჩის აქციებისადმი მიმდინარე ადმინისტრაციასა და კულტურის სამინისტროში. დამთავრებული აქვს მუსიკალური სკოლა, უკრაინის ფორტეპიანოზე და მღერის. 2014 წლის იანვარში, მაიდანის დროს კიევი, გრუშევსკის მოედანზე მოწოდებდა ბარიკადებზე ლურჯ ფორტეპიანოზე დაუკრად და „ამბოხებულებს“ უმღერა. „რადის“ დეპუტატი იგი 2019 წლის აგვისტოში გახდა. 2019 წლის სექტემბრიდან, 2021 წლის იანვრამდე, თავმჯდომარეობდა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში „ვერხონა რადის“ მუდმივ დელეგაციას (აღნიშნული „პოსტი“ მიშასთან ერთად დაკარგა). 2020 წლის ოქტომბერში, როცა მიშასთან გაჩაღებული რომანი ქონდა, სხვა უკრაინელ დეპუტატებთან ერთად, აპირებდა საქართველოში ჩამოსვლას საპარლამენტო არჩევნებზე დასაკვირვებლად. საქართველომ ბოლო მომენტში უთხრა უარი ქვეყანაში შესვლაზე ოცდაათკაციან დეპუტატთა ჯგუფს. ერთ-ერთ ინტერვიუში იასკომ მიხეილ სააკაშვილს მაშინ „მსოფლიო პოლიტიკის თანამედროვე ლეგენდა“ უწოდა. მიხეილის „დატუსალების“ შემდეგ კი



მარიამ ჯანაშვილი  
511 17 73 72



# დაიწყო თუ არა საგარეო ურთიერთობის სივრცის კრიზისი?

დიდი სტუმრიანობა იყო გასულ კვირას „მარადიულ ქალაქ“ რომში. იტალიის დედაქალაქი „დიდი ოცეულის“ ქვეყნების მეთაურებს მასპინძლობდა. G-20-ის ლიდერები ორი წელია, პირისპირ არ შეხვედრიან ერთმანეთს მძინვარე პანდემიის გამო. კოვიდ-19-მა ევროპაში შარშან ყველაზე მეტად სწორედ იტალია დაზარალა. მართალია, შარშან G-20-ის სამიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში უნდა გამართულიყო, მაგრამ ეპიდემიოლოგიურმა ვითარებამ შეუშალა ხელი პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ოცნების ახდენაში. არც დღეს არის დამარცხებული პანდემია, მაგრამ ცალკეულ ქვეყნებში, მათ შორის, იტალიაში, ოდნავ უკეთესი მდგომარეობაა შარშანდელთან შედარებით.

რომში G-20-ის წლებთან დაკავშირებით არ ჩავიდნენ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი და ჩინეთის ლიდერი სი ძინპინი.

აქ უნდა გავიხსენოთ ორი კვირის წინ სოჭში, „ვალდაის“ საერთაშორისო სადისკუსიო კლუბში პუტინის გამოსვლის ფრაგმენტები: „...სამყარო დღეს ცივილიზაციის კრიზისშია... კაპიტალიზმმა ამოწურა თავისი რესურსი...“

„დიდი ოცეულის“, სამიტიც დაწყებამდე ჩავიდნენ რომში აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი, ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნარენდრა მოდი, საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი. გერმანიის ჯერ კიდევ მოქმედი კანცლერისთვის, ანგელა მერკელისთვის წლებადედი G-20-ის სამიტი დიდ პოლიტიკაში „გედის სიმღერა“ იქნება, რადგან უკვე მალე დატოვებს თანამდებობას და, საერთოდ, პოლიტიკიდანაც აპირებს წასვლას. სამიტიზე განსახილველი საკითხები გახლდათ პანდემიის შესაჩერებლად ერთობლივი ბრძოლა, მსოფლიოში არსებული ეკონომიკური და ენერჯეტიკული კრიზისული ვითარება, სამყაროში გლობალური დატოვების შემცირება.

მასპინძელი, იტალიის პრემიერ-მინისტრი მარჩო დრაგი ცდილობდა, კომფორტული პირობები შეექმნა სტუმრებისთვის, რასაც მართლაც კარგად გაართვა თავი. საყოველთაო, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა, თუ როგორ შეხვედებოდნენ ერთმანეთს ჯო ბაიდენი და ემანუელ მაკრონი. შეგახსენებთ, მას შემდეგ, რაც ავსტრალიის მრავალმილიარდიანი

კონტრაქტი აშშ-მ ფაქტობრივად წაართვა საფრანგეთს, ქვეყნებს შორის ურთიერთობა საგრძობლად გაცივდა. მაკრონი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სესიაზეც არ გაემგზავრა ნიუ-იორკში, რათა ბაიდენს არ შეხვედროდა. რომში შედგა პრეზიდენტების შეხვედრა და თბილადც ისაუბრეს. უფრო მეტიც, ბაიდენმა მოუბოდიშა, კონტრაქტთან დაკავშირებით უხერხული და უხეში საქციელი გამოგვივიდაო.

თავისი ხასიათით მაკრონი დიდი ვაჟკაცობით არ გამოირჩევა, მაგრამ მაინც ცოტა ვინმე თუ



მოელოდა, რომ 60-მილიარდიან ზარალს ასე მარტივად გაატარებდა. ანალიტიკოსების შეფასებით, მაკრონი იძულებული გახდა, წყენა ჩუმად გადაეყვანა. სამისოდ მიზეზებიც აქვს. ჯერ ერთი, ექვს თვეში საფრანგეთში საპრეზიდენტო არჩევნებია და აშშ-სთან დაპირისპირების შემთხვევაში კონკურენტები იოლად შეძლებენ მის დამარცხებას. დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლისა და მერკელის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ევროკავშირის ლიდერი ქვეყნის პოზიცია ვაკანტური გახდა. სწორედ ამ ნიშის დაკავებაზე ოცნებობს მაკრონი. თუმცა რამდენად შეძლებს ითავოს ევროპის ლიდერობა, საკითხავია. დღევანდელი ტენდენციაა — პოლიტიკოსებისთვის მთავარია მათი კარიერა და არა ქვეყნის ბედ-იღბალი. მართალია, კულუარულ საუბრებში მაკრონიმ დალატში დაადანაშაულა ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი სკოტ მორისონი, მაგრამ იქვე წარმატებები უსურვა მას. ეს ფაქტიც მეტყველებს, რომ მაკრონი მებრძოლი ხასიათით არ გამოირჩევა.

ათი დღის წინ თურქეთის დედაქალაქში გამართულ მიტინგზე

პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა კატეგორიულად მოსთხოვა საგარეო საქმეთა სამინისტროს, ქვეყნიდან გაემევიბინათ ათი ქვეყნის ელჩი. მათ შორის, აშშ-ის, საფრანგეთის, გერმანიის, კანადის... ათიდან ცხრა ნატოს წევრი ქვეყნების წარმომადგენლები არიან. ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ აშშ-ის ელჩი თურქეთიდან გაემევიბინათ. მიზეზად ერდოღანმა დიპლომატიის მიერ ოპოზიციისთვის აქტიური მხარდაჭერა დაასახელა. მართალია, ორი დღის შემდეგ გადათქვა და უკან დაიხია, მაგრამ ელჩებთან ერთად ქვეყანაში ხინ-



ჯი დარჩა. საერთოდ, ერდოღანს არაპროგნოზირებადი ხასიათი აქვს. რომში ბაიდენთან მას ხანგრძლივი შეხვედრა ჰქონდა. რაზე ისაუბრეს პრეზიდენტებმა, უცნობია. პოლიტოლოგები მხოლოდ ვარაუდობენ — ბაიდენმა, შესაძლოა, უსაყვედურა ანკარაში გაკეთებული მკვეთრი განცხადების გამო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ აშშ-ის ადმინისტრაცია უკმაყოფილოა თურქეთის მიერ რუსეთისგან შეიარაღების შექმნის გამო. მოკლედ, ბაიდენს და ერდოღანს სასაუბრო ბევრი ჰქონდათ, რაც, ჯერჯერობით, გასაიდუმლოებულია.

რომის სამიტიზე ვერ მოხერხდა ქვეყნებს შორის კამათისთვის თავის არიდება. ერთმანეთს ბორის ჯონსონი და ემანუელ მაკრონი დაუპირისპირდნენ. მიზეზი ნეიტრალურ წყლებში თევზჭერა გახდა. მსგავსი დაპირისპირება წლებულს მაისშიც იყო, მაგრამ მაშინ პრობლემის მოგვარება შეძლეს.

რომის სამიტიზე არც საგარეო საქმეთა მინისტრები იყვნენ უქმად. თითქმის სკანდალური აღმოჩნდა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ენტონი ბლინკენის შეხვედრა ჩინელ კოლეგასთან ვაი ი-სთან. შეხვედრის წინ ტრადიციული მისალმებისას ვან ი-მ ბლინკენს ხელი დემონსტრაციულად არ ჩამოართვა. ექსპერტების შეფასებით, ჩინეთი გადინანებულია AUKUS-ის შექმნით (აშშ, დიდი ბრიტანეთისა და ავსტრალიის კავშირი), რაც ჩინეთის საწინააღმდეგო ორგანიზაციად აღიქვამს პოლიტოლოგებმა. ექსპერტების განცხადებით, სწორედ AUKUS-ი გახდა მიზეზი იმისა, რომ სი ძინპინი რომში სამიტიზე არ ჩავიდა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა შედგა რომში, რომელიც პრესაში, ფაქტობრივად, არ გაშუქებულა. სერგეი ლავროვის თქმით, მას ხანმოკლე, მაგრამ ნაყოფიერი



და შინაარსიანი შეხვედრა ჰქონდა ჯო ბაიდენთან. „...სასარგებლო საუბარი გექონდა. ჩვენი ქვეყნები ისწრაფვიან ურთიერთობის ნორმალიზაციისთვის. პუტინთან მოკითხვა დამაბარა. თუმცა გაუმართლებლად მიგვაჩნია რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნებში აშშ-ის სამხედრო ბაზების მშენებლობა“, — განაცხადა ლავროვმა. გავრცელებული ინფორმაციით, მიმდინარეობს მოსაზრებები სამუშაოების დასრულების ვლადიმერ პუტინთან და სი ძინპინთან შეხვედრისთვის.

G-20-ის სამიტიზე ქვეყნებმა მიიღეს დეკლარაცია, 2030 წლამდე

შემუშაონ გლობალურ დატოვასთან ბრძოლის გეგმა — დედაქალაქში არ დაუშვან ტემპერატურის 1,5% გრადუსზე მეტით მომატება. ექსპერტების გამოთვლებით, პლანეტაზე ბუნების დაბინძურების 80% „დიდი ოცეულის“ ქვეყნებზე მოდის.

იტალიიდან პოლიტიკოსებმა დიდი ბრიტანეთში გადაინაცვლეს. გლაზგოში მიმდინარეობს კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებული კონფერენცია, რომელიც გაეროს გვიდით იმართება. გლაზგოში ჩავიდნენ ჯო ბაიდენი და ემანუელ მაკრონი, რომლებიც სხვა ქვეყნების მეთაურებთან ერთად მონაწილეობენ კონფერენციაში. აღსანიშნავია, რომ ექსპერტები გლაზგოში მიმდინარე კონფერენციას გლობალური დატოვების შეჩერების ბოლო იმედად მიიჩნევენ. ენახოთ, რა შედეგით დასრულდება სამყაროსთვის ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება. სხვათა ამ კონფერენციაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილიც მონაწილეობს.

ორი დღის წინ შეწყდა ნატო-რუსეთის თანამშრომლობა. მისია ბელგის სამეფოს შუამდგომლობით 1991 წელს იყო გახსნილი. წარმომადგენლობის მუშაობა ითვალისწინებდა ინფორმაციის გაცვლას ალიანსსა და რუსეთს შორის. სერგეი ლავროვის თქმით, მიუხედავად ნატოს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის მტკიცებისა, რომ ალიანსს სურს რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობა, მათ დიპლომატებს ბრიუსელში მუშაობის ყოველგვარი საშუალება შეზღუდული ჰქონდათ. დაიხურა მუდმივი წარმომადგენლობები რუსეთსა და ბრიუსელში. ალიანსისთვის რუსეთის გადაწყვეტილება მოულოდნელი აღმოჩნდა. ანალიტიკოსები ამ მოვლენას ნატო-რუსეთის თანამშრომლობის ეპოქის დასასრულად მიიჩნევენ. მომავალი ალიანსსა და რუსეთს შორის ბურუსით არის მოცული.

საინტერესო განცხადება გააკეთა დონალდ ტრამპის ყოფილმა მრჩეველმა თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში ჯონ ბოლტონმა: „...ნატოში გაწვევრიანების მსურველი ქვეყნები უნდა დაელოდონ აშშ-ში რესპუბლიკელი პრეზიდენტის მოსვლას. მანამდე მათი მცდელობა ფუჭია“.







# „გაყიდველი და არარაობა“

## საფრანგეთის პრეზიდენტს ქვეყნის გაყიდვაში სდებენ ბრალს

„გაყიდველი და არარაობა“ — საფრანგეთში ამ სათაურით გამოვიდა დიდი მოცულობის წიგნი, რომელიც ემანუელ მაკრონის ცხოვრებას და რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე მისი მოღვაწეობის გამოძიებას ეხება. განხილულია ასევე მაკრონის კარიერის ადრეული ეტაპები, როგორც ჩინოვიანისა და ბანკირისა.

მეტრულად საპირისპიროდ მოქმედებს. გადაწყვეტილებები, რომლებსაც ის იღებდა (ხშირად მათი რჩევების საწინააღმდეგოდ, ვინც პოლიტიკაში ამა თუ იმ მიმართულებას კურირებდა), საზოგადოება ისე გახლჩა, რომ ბევრმა საუბარი დაიწყო სამოქალაქო ცივი ომის შესახებ. ეკონომიკურმა სიახლე-

მდგრადობას კრიზისების პერიოდშიც კი ინარჩუნებდა, ვველაფრის დანერგვას ცდილობს:

საიდან აქვს ჰეროსტრატეს კომპლექსი იმ ადამიანს, რომელმაც ბრწყინვალე განათლება მიიღო? პასუხი ფსიქოლოგიის სფეროში არ აღმოჩნდა, თურმე ვველაფერი უბრალო და ვულგარული ყოფილა...

მაკრონმა, რომელსაც მიზნად ფრანგულ პოლიტიკურ ოლიმპოზე ასვლა სურდა, წიგნის ავტორების აზრით, არა პატიოსანი და ღია გზა აირჩია, როგორც მისმა წინამორბედებმა (უფრო ხშირად ისინი კარიერას მოკრძალებული თანამდებობით იწყებდნენ ხელი-სუფლების საკანონმდებლო ან აღმასრულებელ შტოებში), არამედ, ტარტიუფის მსგავსად.

ის მსჯელობდა „სოციალურ სამართლიანობასა და წინსვლაზე“,



და არა მხოლოდ...

გაწეული დახმარების სანაცვლოდ ის პირობას დებს, რომ წინააღმდეგი არ იქნება ამერიკულ ელემენტების საფრანგეთის მრეწველობისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი აქტივების მიყიდვისა. ამგვარად, ჯერ კიდევ ეკონომიკური განვითარების მინისტრად ყოფნისას მან მხარი დაუჭირა კომპანიების Alstom-ისა და General Electric-ის შორის გარიგების გაფორმებას. ამით მან საკუთარ სამშობლოს სამუშაო ადგილები, ხოლო ხაზინას შემოსავალი წაართვა. მან ერთი ხელის მოსმით გადასცა სხვა ქვეყნების მრეწველობას ის საინჟინრო და კონსტრუქტორული გადაწყვეტილებები, რომლებიც ამერიკელებს არ გააჩნდათ. გარიგების დასრულების შემდეგ მაკრონის დახმარებით ამერიკელები ვველაფერ ამას, ფაქტობრივად, უფასოდ მიიღებენ.

ყოველთვის, როცა გაყიდვების შესახებ ინფორმაცია გასაჯაროვდებოდა ხოლმე, მაკრონი ადგილზე

ან საქმეს თაროზე შემოდებდნენ ხოლმე.

სპონსორების წინაშე აღებული ვალდებულებები მაკრონის საარჩევნო კამპანიის დროს ისეთ საკითხებსაც კი ეხებოდა, როგორცაა, მაგალითად, ვისი ტანსაცმელი ეცმევა ბრიჯიტ მაკრონს, ემანუელს პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში (იგულისხმება პრეზიდენტობის მთელი ვადა). იმ კონცერნის მფლობელმა (LVMH) ბერნარ არნო, რომლის სამოსსაც ბრიჯიტი ატარებს, ზომ მაკრონს კოლოსალური მხარდაჭერა აღმოუჩინა, რასაც ახლაც განაგრძობს.

ფერარ დავემ და ფაბრის ლემიმ შეგროვილი ჩვენებების საფუძველზე ორი დასკვნა გამოიტანეს.

პირველი. ემანუელ მაკრონი ისე იტყუება, რომ მან შეძლო ქვეყნის ყველა წინამორბედი პოლიტიკური ელემენტების გატყუება, რომლებსაც წარმოდგენაც კი არ შეეძლოთ, რომ ამ ზედმიწევნით აღზრდილ, ზრდილობიან და დახვეწილ მანერების ახალგაზრდას შეეძლო ბითუმად და ცალობით გაეყვია ვველა, ვინც მას წინსვლაში დაეხმარა.

და მეორე. ორივე ჟურნალისტი ყურადღებას ამახვილებს ამჟამინდელი ფრანგი ლიდერის სამიზნე აუდიტორიაზე, როცა ის ინტრიგებს ხლართავს და მხოლოდ საკუთარ ამოცანებს ჭრის: ეს ყოველთვის ხანშიშესული და მოხუცი მამაკაცები არიან, რადგან ის მათ ძალიან მოსწონთ.

მაკრონს შეუძლია ადამიანებს პროფესიულ დონეზე მოაწონოს თავი. ეს ის უნარია, რომელიც აუცილებლად ესაჭიროებათ „დაბალი სოციალური პასუხისმგებლობის გოგონებს“.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ მომავალში მაკრონი არჩევნებში წააგებს, მას არაფერი ეშუქება, რადგან გლობალისტებმა მისგან იმდენი სარგებელი მიიღეს, რომ მას თავისი პროტექტორებისგან უკვე გამოწერილი აქვს „დაცვის სიგელი“...

ბელა გველმისიანი 568 90 81 22



ელისეს სასახლემ, რომელიც ბომბდისა და პრესის წარმომადგენლებმა წიგნის გამოცემის თაობაზე საქმის კურსში ჩააყენეს, სპეციალური განკარგულება გამოსცა, რომლის თანახმადაც ვველა თანამშრომელს (მომსახურე პერსონალის ჩათვლით) აკრძალა ჟურნალისტებთან ფერარ დავესთან და ფაბრის ლემთან ურთიერთობა.



მასლების მოძიებაზე დავემ და ლემმა ოთხი წელი დახარჯეს. „გაყიდველი და არარაობა“ — ეს გახლავთ პოლიტიკური ვივისექცია მეხუთე რესპუბლიკის რიგით მერვე პრეზიდენტის მოღვაწეობისა, რომელიც გამყარებულია ფაქტებით, ციფრებითა და ჩვენებებით. ქვეყნის მმართველი, რომელიც ვველაგან და ყოველთვის დაბეჯითებით უსვამს ხაზს იმას, რომ ზნეობრივი ადამიანია, სინამდვილეში, როგორც წიგნის ავტორებმა გამოარკვიეს, „მატყუარა და მანიპულატორი“ აღმოჩნდა, რომლის პოლიტიკური მანერები საკითხების გადაწყვეტაში არა მხოლოდ აბსოლუტუზმის ეპოქას გვაგონებენ, არამედ სრულად შეესაბამებიან ცნობილ გამონათქვამს: „სახელმწიფო — ეს მე ვარ!“

მაგრამ თუ ლუდოვიკო XIV, რომელსაც ამ ფრაზას მიაწერენ, ქვეყანას აერთიანებდა, კულტურას იცავდა და საფრანგეთის დიდება არ ეთაკილებოდა, მაკრონი დია-



ამავდროულად მხარდაჭერისთვის გლობალისტებს მიმართავდა — მერე მეც მიმსახურეთო...

საფრანგეთის ფისკალურ უწყებაში მუშაობის (სადაც შრომითი ბიოგრაფია დაიწყო) და როტშილდებთან ნაცნობობის წყალობით ემანუელ მაკრონმა ქვეყნის ისტორიაში არნახული კავშირები და ფინანსური რესურსების მოპოვება შეძლო.

მიდიოდა და იფიცებოდა, რომ ვველაფერი კარგად იქნებოდა, და, რა თქმა უნდა, ტარტიუფის მსგავსად, იტყუებოდა.

გამოძიების ავტორები იმაზეც საუბრობენ, რომ ამგვარ შერწყმას და შეერთებას თან ახლდა საკომისიოებიც, რის შესახებაც იუსტიციის სამინისტრო საქმის კურსში იყო, მაგრამ ვველა შემოწმება შედეგის გარეშე სრულდებოდა,

„საერთო გაზეთი“ მხარდასაჭერი ფონდი № 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდნი BAGAGE22. № GE19BG000000182763600.

**საერთო გაზეთი**  
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“  
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: **ვანთაძე სარჩილაკა**  
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შეველიძე, ნელი თორდია, მარიამ ჯანაჯღაპა, ვია ბურდული, ნატო ივანიძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველმისიანი, მთვარისა კველიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (შენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშაძის ქ.18;  
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.  
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge  
რეგისტ. №202375349; შპს (UDC) 070.23 (479.22) ს-158  
გაზეთის გამოცემა შეზღუდულია შპს  
„ელვა-ჯი“-ს მფლობელით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983  
ISBN 977-22333-9800-1  
  
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიციის არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასლის გამომცემლობაში ან იმ კვირის ვალდებულ გამომცემელთან. გასაჩივრება უნდა მოხდეს არ უგვიანდეს.